

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესნან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძიენი და მე განვიგებნო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 14

1883-1891

30 ივლისა.

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი :

«მწყმესი»	5 მან.	«მწყმესი» რუსული გამოცემით	6 მან.
12 თფით	6 —	12 თფით	4 —
6 —	8 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაზავნა შეიძლება ამ ადრესით: ვა Куркум, Ва редакцію „Мистецтв“ и „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი ვრცლად და ტასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. სტატიკა, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს სტატიები მიიღებთან რუსულ-ა ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებთან.

დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელობის წოდებისა.

(გაგრძელება *)

ასეთივე დიდ მნიშვნელობას აძლევს მღვდელობას წმ. იოანე მკობრი, რომელმაც ამის გამო პატარაობისას არ მიიღო მღვდელობა. წმ. იოანეს წიგნებში მღვდელობაზე, რომელიც დასწერა მან, რათა თავი გაემართლებია ერთი თავისი მეგობრის წინაშე, რომელსაც წმ. იოანემ პირველად სიტყვა

მისცა, რომ იგი მიიღებს თავის თავზე ეკლესიის სამსახურს, და შენდევ კი დიმილა, როცა მღვდელად ხელდასმის დრო მოახლოვდა, გამოხატულია ისეთი უაღრესობა-წმენდლობის სამსახურისა, რომ ამ მოვალეობის ნიღება გაუჭირდება მშვენიერ ლტოლვილებათა და მისწრაფებათა შესანიშნავი გონების პატრონსაც. ასეთი დიდი შეხედულება ჰქონდა წმ. იოანეს მღვდელობის სამსახურზე, და ამიტომაც დაიმილა იგი, როცა მოვიდა მისი და მისი მეგობრის მაკურთხებელი. «მღვდელობა, ამბობს წმ. იოანე მკობრი, თუმცა ქვეყნიური სამსახურია, მაგრამ მღვდელი ასრულებს მას, რაც შეშვენის ზეციურ არსებათ. მღვდელობა დადგინა არა კაცმა, არა ან-

*) იხ. «მწყმესი» № 13, 1891 წ.

გელოსმა, არა მთავარ-ანგელოსმა, არცა სხვა რაიმე შექმნილმა ძალამ, არამედ თვით ნუგეშინის-მცემელმა, რომელმაც მღვდლებს, როცა იგი ხორციელად იყო ქვეყნად, დაუდგინა ანგელოსებრივი სამსახური. ამიტომაც მღვდელი, რომელიც სდგას თითქმის ცაზე ანგელოსთა შორის, უნდა იყვეს განსაკუთრებით წმიდა. როცა შენ ხედავ ტარიგს შეწირულს და მღებარეს, ხოლო მღვდელს, მღგომარეს მსხვერპლის წინაშედა მლოცველს, განა წარმოიდგენ, რომ შენ ხალხთან ხარ და სდგეხარ მიწაზე? ბანა იმ საათს შენ არ ამალღდები ზეცად, და დაიფიწყებ რა ყოველივე ხორციელს, გულ ახლით და წმ. გონებით არ ხედავ ზეციურ საგანთა?... მსურს თუ არა, რომ მეორე სასწაულით შეიგნო სიმაღლე ამა მღვდელ-მოქმედებისა? ამიწერე მე ილია, რომელიც მრავალ ხალხთან ერთად იდგა და სწირავდა მსხვერპლს; მსხვერპლი სდევს ქვებზე; ხალხი გარშემო სდგას ჩუმათ, მხოლოდ ერთი წინასწარმეტყველი ევედრება ღმერთს. მხლა წარმოიდგინე ცეცხლი, რომელიც უეცრად გარდამოვიდა ზეცით მსხვერპლზე. ბანა ყოველივე ეს საკვირველი და გასაოცარი არ არის? მხლა ყურადღება მიაკციე მასს, რაც სრულდება ტაძარში: სდგას მღვდელი, და ევედრება ღმერთს, რათა მან გარდმოავლინოს არა ცეცხლი, არამედ სული წმიდა: დიდ ხანს ლოცვილობს მღვდელი, რათა მადლობა, გარდმოვლენილმა მსხვერპლზე, აღანთოს სული ყოველთა და შექმნას ისინი უბრწყინვალეს განხურებული ოქროისა, არც ერთი კაცის სულს არ შეეძლო აეტანა ის ცეცხლი, ყველა ისინი დიდი ჰებოდენ, რომ მათ მფარველად არ ყოფილიყო დიდი მადლი ღვთისა.

მთუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი დიდი საქმე ეძლევა ხორციელს კაცს, და ამ საქმით კაცი უანლოვდება ნეტარს და უკვდავ არსებას, მაშინ ცხადი იქმნება, თუ რა პატივი და ღირსება მიანიჭა მღვდლებს სულის წმიდის მადლობა. მღვდლები ასრულებენ მსხვერპლის შეწირვას, ასრულებენ სხვა უმაღლესს მსახურებას, რათა აცხოვნონ მორწმუნენი; იგინი სცხოვრებენ და მოქმედებენ ქვეყნად, მაგრამ განაგებენ ზეციურს, მათ მიიღეს უფლება, რომელიც არ მიუნიჭებია ღმერთს არც ანგელოსთა და არც მთავარ-ანგელოსთათვის... რასაც ასრულებენ მღვდლები ქვეყნად, იმას ღმერთი ამტკიცებს ზეცაში. მღვდლებისათვის ღმერთს ხომ მთელი ზეციური მთავრობა

არ მიუნიჭებია? უკეთუ ვაითნამე მაუტკუნეთ ცოდვანი, მიეტკუნენ მათ; და უკეთუ ვაითნამე შეაზუგნეთ, შეზუგრებოდნ იყენენ (იოან. XX, 23). ამაზე მეტი უფლება შეიძლება? მაშამ ყოველი მთავრობა მისცა ძესა; ხოლო მე ვხედავ, რომ ყოველივე ეს მთავრობა ძემ მიანიჭა მღვდლებს. ამ სახით მღვდლებს მიანიჭებული აქვს ისეთი მთავრობა, თითქო იგინი აღვიდნ ცად და გამოიცვალეს კაცობრიული თვისება, და განთავისუფლებულ იქმნენ ჩვენ კრებათაგან. როცა მეფე ეინმე თავის ქვეშევრდომს მიანიჭებს უფლებას, რომ მან თავის შეხედვით დააპატიმროს და განათავისუფლოს ის, ეინცა სურს, ამ კაცს ყველანი პატივსაცემენ. ამაზე უფრო მომეტებული პატივი არ უნდა ესცეთ კაცს, რომელსაც მიღებული აქვს უფლისგან უმაღლესი უფლება, და ეს უფლება ხომ იმოდენად უმაღლესია, რამოდენადაც უმაღლეს არს ცა დედამიწაზე, რამოდენადაც უმთავრესია ხორცზე სული... შენურება იქმნება, შეურაცხველათ ისეთი მთავრობა, ურამლისოდაც არ შეიძლება მივიღოთ არც ცხონება და არც აღთმებული სიკეთენი. მთუ კი არავის არ შეუძლია შევიდეს სასუფეველში, თუ არ გაიბანა წყლით და სულით, თუ უფლის ხორცის და სისხლის მიუღებელი გამოძევებულ იქმნებიან საუკუნო ცხოვრებისაგან: მაშ უმღვდლოდ ვის შეუძლია ასცდეს საუკუნო ცეცხლს, ანუ მიიღოს გამზადებული გვირგვინი.

მეექვსე წიგნში მღვდლობის შესახებ წმიდა იოანე მოქროპარი იმავე აზრს უბრუნდება და განმარტებს მღვდლობის სამსახურის უაღრესობას. «ოვგარი უნდა იყვეს ის, ამბობს წმ. იოანე, რომელიც ლოცვილობს მთელი ქვეყნისათვის, და სთხოვს ღმერთს, რათა მოწყალე გვეყოს და მიუტევოს ყოველი ცოდვა არა მარტო ცოცხალთ, არამედ გარდაცვალებულთა? მე ვფიქრობ, რომ ამისთანა შუამავლობისათვის საკმაო არ არის გამბედაობა მოსესი და ილიასი. მიანიდგან მღვდელს ჩაბარებული აქვს მთელი ქვეყანა, და ის, როგორც ყოველი კაცის მამა, წარსდგება ღვთის წინაშე და ევედრება მასს, რათა მოისპოს ყველგან ბრძოლა, ამბოხება, და მიენიჭოს ყველას მშვიდობა, კეთილდღეობა და ჩქარი ხსნა ყოველთა განსაცდელთაგან, რომელიც გვეწვიან ჩვენ. და როდესაც ის მოუწოდებს სული წმიდას და იწყებს უსაშინელესი მსხვერპლის შეწირვას და ხელით შეეხება უჟაოს, მაშინ, მითხარით, თუ რა

ხარისხი უნდა მივაკუთვნოთ მას? როგორი სიწმიდე და კრძალულება მოვითხოვთ მისგან? ამ დროს ანგელოსნი სდგანან მღვდელთან ერთად, და მთელი ზეციური ძალნი დალაღებენ და მათი დალაღებით იესება სამსხვერპლო საღიღებლად იქ მდებარისა. მართი კაცი, მოხუცებული და საკვირველი, რომელმაც მიიღო ღვთისგან განცხადება, იტყოდა ხოლმე თავის თავზე, რომ იგი ღრსი განხდა შემდეგი ხილვისა: უუწმიდესა მსხვერპლის შეწირვის დროს საკუთხეველმა მან უეცრად იხილა მრავალი ანგელოსნი, რომელნიც შემოსილი იყვნენ ბრწყინვალე სამოსლებით, იგინი იდგნენ ტრაპეზის გარშემო და თავი მოხრილი ჰქონდათ; სწორედ იმ სახით, თითქო ჯარის კაცი დგანან მიფის წინაშეა.

წმ. იოანე ოქრობირი არა ერთ გზის ეხება მღვდელობის სამახსურის სწავლების საქმეს და თავის საუბრებში, რომლებშიაც განმარტებულნი არიან ან სახარების რომელიმე თავი და ან წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი და ყოველთვის, როცა ის ხებულს საგანზე იწყებს ლაპარაკს, დიდი კრძალვით იხსენიებს მღვდელობას და სხვათაც არწმუნებს, რომ მღვდლებს და მღვდელობას შესაბამი პატივისცემით მოეპყრან. მეორე საუბარში, რომელშიაც განმარტებულია წმ. პავლეს მეორე ეპისტოლე ტიმოთესადმი, წმ. იოანე ოქრობირი არიგებს რა მამენელთ, რათა მათ პატივი სცენ მღვდლებს და დაემორჩილონ მათ, წინადაუდებს ყველას, რომ მღვდლებს პატივით უნდა ექცეოდნენ მაცხოვრის გულისათვის, რომელიც განაწესებს მღვდლებს და რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ; იმ პატივს, რომელსაც მღვდლებს აღმოუჩნთ, ანუ უპატივცემულობას, რომელსაც მათ მივაყენებთ, არა მარტო მღვდლებს, არამედ მათთან ერთად შეურაცხველად თვით უფალს. როცა ხელქვეითნი პატივს სცემენ უფროსთ, უკანასკნელნი პირველთ სამაგიეროს უხდიან, ხოლო როცა მღვდელს შეურაცხველად, ამ შეურაცხებას იღებს თავის თავზე მეუფე, როგორც ეს სწავს საუთლის მაგალითისაგან; ანა შენ, იტყვას მეუფე, შეუჭატებუვას, ანამედ მე (ა მფეთა 8, 7). ამ სახით მღვდლებისათვის შეურაცხება სასარგებლოა, ხოლო პატივი ტვირთია. მე მარტო მღვდლების სასარგებლოდ კი არ ვამბობ ამაებს, არამედ თქვეთეს. მინც პატივს სცემა მღვდელს, ის პატივს სცემა ღმერთსა. ხოლო ვინც მიყენა მღვდლი შეურაცხება, ის ცოტა ხნია შექდეკ შეუ-

რაცებს თვით უფალსაც. რამელმან შეგაწინაინეს თქვენ, მე შემიწინაა (მათ. 10, 40). და მღვდელსა უფელსასა პატივი ეცა (სიკრ. 17, 31). მბრალეებმა მოიძულეს მოსე და მოინდომეს მისი ქვით დაქოლვა; შემდეგ იქამდე მიაღწიეს, რომ ღმერთსაც ეურჩებოდნენ ხოლმე. როდესაც ვინმე პატივით ვსურობა მღვდელს, ის უფრო უმეტესა პატივისცემით მოვიღება ღმერთსა. მღვდელი რომ კიდევ უღირსი იყოს, ღმერთი, როცა იხილავს, რომ შენ ღვთის გული-სათვის უღირსს პატივსაცემ, ამისათვის უფალი მოგანიჭებს შენ ჯილდოს. მინაიდგან თვით უფალი იტყვის: რამელმან შეიწინაა წინასწარმეტყველი, სასულად წინასწარმეტყველისა, სასუიდელი წინასწარმეტყველისა მიიღეს (მათ. 10, 41); შესაფერ ჯილდოს მიიღებს ისიც, ვინც პატივსა სცემს მღვდელს და ვინც ემორჩილება მასს. იცი თუ არა, ვინ არის მღვდელი? იგი არის ანგელოსი უფლისა. თავის თავად ლაპარაკობს იგი. როცა მღვდელს შეურაცხებ, ამით შეურაცხებას აყენებ შენა არა მასს, არამედ ღმერთსა, რომელმაც იგი დაადგინა. საიდგან სწავს, შეიძლება იფიქრო შენ, რომ მღვდელი უშუალო დაადგინა? თუ შენ ეს არ უწყი, მაშინ ამა, შენი სახობა. თუ ღმერთი მღვდლის შემწეობით არა რაის აკეთებს, მაშ შენ არა გაქვს მიღებული არც ნათლის-ღება, მონაწილეობას არ იღებ საიდუმლოებში, და არ სარგებლობ ღვთის კურთხევითა, და მაშასადამე შენ ძრისტიანიც არა ხარ.

პასუხი მართლმონისძეს.

(ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობის მოკლე მიმოხილვისაგან).

(დასასრულა *).

გამარჯვებული კორრექტურული შეცდომით მართლოსისძე მოგვითხრობს აღტაცებით, რომის დიდ მბრუნველობას ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ. მოვიყვანთ მთლად ამ ადგილს აქვე:

რადგან დ. დამბაშიძე უწყებლიდ შეესა მე-XVII საუგუნეს, რადესაც, მისისავე სატყუთ, თუქე გა-

*) იხ. «მწიქსა» № 13, 1891 წ.).

მართული იყო ქუთაისში ქართული სტამბა, ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია, ვაუწყოთ მკითხველს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში ამისთანა ადგილი ეჭიჩა არა ქუთაისს, არამედ რომის ქალაქს.

უკვლამ იცის, თუ რა ხალხით შეუდგა ლათინთა ეპიკლესია თავის მარწმუნეთა რიცხვის გამრავლებას შემდეგ იმისა, როდესაც მილიონობით მოაქვდა რიტხვი ერთმარწმუნეთა წევრთა სარწმუნოებრივის განახლების ანუ მოძრაობის დროს ევროპაში. ამის გამო ლათინთა ეპიკლესია სრდილობდა სამეციურ რიტხვი მარწმუნეთა შექმნა შორეულს ქვეყნებში მანინტ. ამ განზრახვით მანამ გრიგოლ მე-X დაწესა ქრისტიანობის მქადაგებელთა საზოგადოება 1622 წ. ხოლო 1627 წელს ამკვარბე საზოგადოება დაწესა ამის მოადგილემ უბან მე-VIII. მანინდელი დრო განა მოითხრავდა ამისთანა საშუალებას ლათინთა ეკლესიის მხრივ? იტალიელი მოგზაური შიეტრო დელა-ვალლე თავის მოგზაურობის დროს მე-XVII საუკუნის დასაწყისში იყო საქართველოშიც. როდესაც გაიხრე ქართველებს, მათა სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება, დიდად სწუსდა, რომ ამისთანა ქვეყნისთვის ლათინთა ეპიკლესიას არ მიუძღვია აქამომდე თვისი ეურადღებოა. საფუძველიც ჰქონდა ამისთანა მწუხარებას, როგორც თვით საქმით დამტკიცდა. კახეთის მეფემ თეიმურაზ I და ალავერდის მიტროპოლიტმა დიდად მატოვით მიიღეს პირველი ბერი ლათინთა სარწმუნოებისა, მამა თადეოზი, რომელიც შაჰ-ანასმა გამოგზავნა კახეთის მეფესთან სამძიმრის სათქმელად პირველის ცრლის ანასს სიკვდილის გამო 1610 წ. მეფემ აწივინა თავისს ეპიკლესიაში და ადგილიც აძლია ეპიკლესიის ასაშენებლად. ამგვარადვე მიიღეს ერთი ლათინთა ეპიკლესიის ბერთაგანი სამეგრელოშიც ლეკან (1611—1657) დადიანის დროს. რომ უფრო მკიდრად დაგვიმარბულიყო საქართველო რომთან, ლათინთა ეპიკლესიამ განიზრახა, რომ მქადაგებელთ შეესწავლათ ქართული ენა. ამ განზრახვით, როგორც გარწმუნებს ბროფსონი ალტერი, კოლლეკიის დაწესების დროდამე, ე. ი. 1627 წ. მიიწვია მანამ რომის ბროფსონი ქართულის ენის სასწავლებლად. ეს მასწავლებელი იყო ნიკოფორე ირბანი, ტომით ქართველი. ირბანი იყო განთლებული შვილი თავის მამულისა. ამან პირველმა ჩაჭერა სამარკველი ქართულის ბეჭდვისა და ისეთის მოხერხებით შესწავლა ქართული ენა თავისს მოწაფეებს, რომ

სანუკრად გახდა ჩვენი ენა დასავლეთ მერნიერთათვის. ირბანის თანამოღვაწე იყო ამ საქმეში ლათინთა ბერი სტეფანე პაულინი, რომელიც შეიძლება წინადა იყო საქართველოში. ამ საზოგადოების სტამბაში ჩამოასხეს პირველად ქართული ასოები და დაიბეჭდა: ა) ქართულ-იტალიური ლექსიკონი 1626 წ. ბ) ქართული ანბანი 1629 წ., ქართული გრამმატიკა მარმადჯისა 1643 წ., დ) ქართული გრამმატიკა მისივე მერე გამოცემა 1670 წ. აი სად და რა წიგნები დაიბეჭდა ქართულის ასოებით მე-XVII საუკუნეში. ამას შემდეგ თვით მკითხველმა განსაჯოს დარსება იმისა, თუ რაც გვიტხრა დ. დამბაშიმე ქართულის ბეჭდვის გამო ქუთაისს მე-XVII საუკუნეში და მოსკოვ-თბილისში მე-XVIII საუკუნეში.

მრთი ჰკითხეთ მართლოსის ძეს, თუ რას მივლებ-მოვლებ? ჩვენ ვსწერდით ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ და ეს რას ამბობს? მინკითხავს მას თუ რა ხალხით შეუდგა ლათინთა ეკლესია ქართული ენის შესწავლას და ქართველების გაფრანგებას? მინ ჰკითხავს მას, თუ რომელ წელში და თთვეში დააწესა ქრისტიანობის მქადაგებელთა საზოგადოება პაპა ბრიგორი და შობან მე-VIII? მინ ჰკითხავს მართლოსის ძეს თუ როგორ სწუნდა ლათინთა ეკლესია, რომ საქართველოს ხალხი ვერ ჩაივლო ხელში იმთ მაგიერ, რომელიც ხელიდგან წაუღია? მინ ჰკითხავს მას, თუ რომელი ფრანგის ბერი გაუგზავნა სამძიმრის გამოსაცხადებლად შაჰ-ანასმა ქახეთის მეფეს თეიმურაზ პირველს? მინ ჰკითხავს მართლოსის ძეს თუ რა და რა იგზუიტურ ხრიკებს ხმარობდა რომის პაპა, რომ საქართველოს ეკლესია მტკიცედ დაეკავშირებინა რომის ფრანგთა ეკლესიასთან? მინ ჰკითხავს მართლოსის ძეს, თუ სად დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი 1626 წელში? ჩვენ ვსწერდით და მოუთხრობდით მკითხველს, თუ როდის, სად და როგორ იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები. მართლოსის ძე მოგვითრობს, თუ სად და როდის დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული გრამმატიკა, მარია მადჯისა და ქართული ანბანი. რა უნდა დაამტკიცოს მართლოსისძემ ამდენ ლობე-ყორეს მიღებ-მოღებით? როგორც ჰვავს, მართლოსის ძეს ამით უნდოდა გავემტყუნებოთ ჩვენ, რომ საეკლესიო წიგნები პირველად რომში პაპისაგან იბეჭდებოდა! მართლოსის ძემ ჯერეთ კიდევ არ იცის, რომ

ქართული ანბანი, ლექსიკონი და გრამატიკა საეკლესიო წიგნებს არ შეადგენენ. ხოლო ჩვენ სამოქალაქო სახალხო წიგნების ბეჭდვაზედ არაფერი არ გვითქვამს. მაშ რისთვის შეიწუხა თავი ამდენი ყმედობით რომის პაპების მოქმედების გამოაშკარაებით? მისთვის, რომ იგი რომიდან მოვლის ყოველ სიკეთეს, ვანათლებას, ქართული საეკლესიო წიგნების გაერცვლებას და რაც გინდათ! ქართლოსისძეს იმედი აქვს, რომ რომის პაპა ისევ დაუბრუნებს სასწავლებლის ზედამხედველობას და ის ისევ თავისებურად ვანაგებს სასწავლებლის მეურნეობას ლეთისგან კურთხეულს ქალაქს მელაელში... ქართლოსისძე მეორე ამანაგია ბ. სა—ნისა, რომელიც ქვეყანას უმკიცებდა, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარო და ბოლოს, როცა თავის სურვილს ვედარედი, ფიცით აღარა მე ქართველი არა ვარო, მაგრამ ქართველის ტყავში ემოქმედებდი, რომ უფრო დამეტყუებინა ქართველებიო!... შორს ამისთანა მზრუნველები, შორს ამისთანა პატრონები!...

ჩვენ არასოდეს არ დავიფარავს ჩვენი მეათხველებისათვის, რასაც ჩვენზედ სწერდენ სხვაგანებში. ზოგიერთებს სასირცხოდ მაინით გამოაშკარაებდა ყველა იმისა, რასაც მათზედ სწერენ მათი მოწინააღმდეგენი. ჩვენ კი სულ სხვა აზრისა ვართ. პთასჯერ რომ გასვაროთ ოქრო ტალახში, ის მაინც თავის ფასს და თვისებას არ კარგავს. რაც უნდა საზიზღარი ცილი დაგეწამოს ქართლოსისძემ, რომელიც ღობეს ამრფარებია და ტალახს ისერის თავისი გასერილი ენით, ჩვენ მისი ცალის-წამების არ გვეშინია და ამისთვის მთლად შეუცვლელად მოგვეყვს მისი სიტყვები:

უნდა-კი შევნიშნათ, რომ ესრეთას ცოცხალის ტუფალებას გამოქვეყნება დ. დამასაძაქს უანგარიშოდ უმეტრებით არ მოჰსვლია. ამაზ იცას, თუ სად, რომდის და ვისთან გამოდგება ტუფალი და, შეპოუ აქ ნასტომი შეეშალა, კე მარტო ამის ბაჯლი არ არის. რა განზრახვით დაიმდაბლა თავი დ. დ—ძემ და ტუფილების ქადაგება დაიწყო. იქნება ამისა შესასებ პატო-სადებო საბუთები წამოგვიდგინოს. ის ტო რ ი ული ფაქტები შესწიწკ ჩვენმა მეთაურმა პრაქტიკულს მოსაზრებას. უნდოდა დაკტოცებინა, რომ ყოველს ჩვენ საქმეში მეთაურობა ეკუთვინის მოსკოვს და აი სწორედ ამგვარმა დედა აზრმა ავისრებიან უმეტრების მომღვრება ჩვენს ღვაწლს. მეკრ

რა მინდაო, რომდესაც ამას დავამტკიცებო? რაო-და, თუ ჩვენის საეკლესიო წიგნთა ბეჭდვა მოსკოვში დაიწყო, მაშასადამე დღესაც იქ უნდა იბეჭდებოდეს აღნიშნული წიგნებო. (ივერია № 116 1891 წ.)

ამ საზიზღარ ცილის-წამებაზე ჩვენ დღეს არაფერს არ ვიტყვით. რომ ყველა ეს ზემოდ დაწერილი ქართლოსისძისაგან აშკარა სიცრუეა, და მისი სნეული და დაჩლუნგებული ტენის ბოდეა, ჩვენ მოვიყვანთ სრულებით შეუცვლელად და სიტყვა სიტყვით, რასაც ესწერდით ჩვენ 1889 წელში ხსენებული საგნის შესახებ ჩვენს რუსულ გამოცემაში:

Съ давняго времени мы обратили вниманіе на это важное дѣло и задались цѣлью помочь, сколько возможно, печатанію церковно богослужебныхъ книгъ у насъ, поставивъ его въ возможно лучшія и удобныя условія. Въ этихъ видахъ, между прочимъ, мы два раза ѣздили въ Россію, чтобы достать церковно-грузинскіе шрифты всѣхъ размѣромъ и видовъ. Но, къ сожаленію, всѣ наши поиски какъ въ Москвѣ, такъ и въ Петербургѣ остались тщетными. Навели справки объ этихъ шрифтахъ изъ Петербурга въ Вѣнѣ и Венеціи, откуда, какъ намъ сообщили въ Петербургѣ, доставлялись церковно-грузинскіе шрифты для Кутаисской типографіи,—но и тамъ ихъ не оказывается.

Въ Московской Синодальной типографіи имѣются только матрицы №№ 16 и 22, въ типографіи Академіи Наукъ имѣется № 12 шрифта неособенно удовлетворительнаго. Въ другихъ же словолитныхъ заведеніяхъ въ Россіи—Лемана, Гербека и др., хотя имѣются нѣкоторые шрифты, но они не годятся для печатанія книгъ, какъ неимѣющіе характера нашихъ церковно-грузинскихъ шрифтовъ.

Словолитныя заведевія, въ виду незначительнаго спроса на шрифты для церковно-богослужебныхъ книгъ, не рѣшаются сами дѣлать затраты на заготовленіе матрицъ для выше означенныхъ шрифтовъ, а Московская синодальная типографія, также въ виду малаго количества церковно богослужебныхъ книгъ, потребныхъ для церквей и монастырей грузинскаго экзархата, не находитъ выгоднымъ печатать эти книги по той же цѣнѣ, какъ печатаются богослужебныя книги на славянскомъ языкѣ.

Вполнѣ надѣмся, что Грузино-Имеретинская Синодальная Контора приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы печатаніе церковныхъ книгъ обходилось не дороже сихъ книгъ, печатаемыхъ Московской Синодальной Типографіи. Мы думаемъ, что этого можно достигнуть, если Грузино-Имеретинская Синодальная Контора потребуетъ отъ частныхъ типографій, извѣвляющихъ желаніе печатать церковно-богослужебныя

книги, имѣть разнообразныя шрифты и употребленіе киновари замѣнить этими шрифтами, отчего печатаніе книгъ и обойдется гораздо дешевле.

ამას გარდა თვითონ მარტლოსის ძე აი რას სწერს ჩვენზედ კიდევ «ივერია»-ში მე-№ 124:

„ძლიერ კარგი იყო გვარწმუნებს დეკ. დ. ღამ-ბაშიძე, რომ ჩვენშივე ყოფილიყო მოწყობილი საქმე ისე, რომ სექკლესიო წიგნების დაბეჭდვა აქვე წარმოებულყო. ჩვენში ასოთ ამწყობლებსაც უფრო იაფად იზოვიდა კაცი და კორრექტორსაც. მოსკოვში ასოთ ამწყობის დაქირავება ძვირად დაჯდება“. ეს სიტყვები მარტლოსის ძეს მოუყვანია ჩვენი სტატი-ილამ, რომელიც «მწყემსი»-ს 1890 წ. № 15—16 იყო დაბეჭდილი.

მინც სწერს ამავებს რუსულად, და ქართულად ყველას გასაგებად, შეიძლება მას კიდევ დავსწამოთ, რომ მოსკოვში ჰსურს საექკლესიო წიგნების ბეჭდვის გადატანა? სრულებით არ შეიძლება, მაგრამ მარტლოსის ძეს, გონების თვალები დამსია და პირადობის ანგარიშით რასაც სწერს, აღარ იცის!...

შემდეგ განაგრძობს მარტლოსისძე:

სადა აქვს დ. ღამბაშიძეს ცნობები ფასის შესახებ? ანამც თუ 1863 წ. წინანდელ დროისას, ანამედ ახლანდელ ფასის ცნობებსაც არ გვაძლავს დ. დ—ძე, გარდა შემდეგის ლიტონის სიტყვების: «1863 წლის შემდეგ ჩვენი საექკლესიო წიგნები იბეჭდება თბილისს და უფრო ძვირად შედარებით იმ წიგნებთან, რომლებიც დაბეჭდილხ მსკოვში» (იქვე). «უგანასენელს დროში, განაგრძობს დ. დ—ძე, დაიბეჭდა რჩი წიგნი—ჟამნი და კონდაკი, მაგრამ რჩივე წიგნების ფასმა ერთად აიწია.

ჩვენი სექკლესიო წიგნების ფასი თითქმის ყველამ იცის სასულიერო წოდებაში და ამისათვის ამ წიგნების ფასის ჩამოთვლა საჭიროდ არ მიგვაჩნდა. ჰამნი, მაგალითებრ, წინედ ღირდა შეიდ აბაზად. ხელაძის სტამბაში დაბეჭდილის ფასია 3 მ. ლოცვანი, მოსკოვის სტამბაში დაბეჭდილი, ღირდა 60 კ. ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი ღირს 1 მ. აგრეთვე სხვა წიგნები. ეს ცნობა ყველასთვის ცხადია და არ იცის მარტო მტვარელიშვილი...

ღანარჩენი მთელი ერთი გვერდი ფელიეტონისა მარტლოსის ძისაგან გავსილია ისეთი უმნიშვნელო სიტყვებით და აქია-ბაქიათი, რომ ყურადღების ღირსად არ მიგვაჩნია. ზოგი ნათქვამი მარტლოსის ძისა შეეხება სხვა-და-სხვა პირებს რომელნიც ვალდებულნი არიან მისცონ პასუხი. სხვათა შორის მარტლოსის

ძეს აქვე წინ წამოუყენებია ბ. მეთიმე ხელაძე და ქებას შეასხამს მისთვის, რომ მის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ასე ძვირად ისყიდებოდა და სწუხს, რომ ექსარხოსმანება არ მისცა ამ შრომის გაგრძობაზე. რა გაეწყობა! შირს გაძლება უნდა! მველაფერი უნდა მოვითმინოთ! სამწუხარო იყო მელაგის სასწავლებლის ოლქის სამღვდლოებისათვის, როდესაც ჩვენი გამოჩენილი ფინანსისტი ბ. მტვარელიშვილი დიითხოვეს ზედამხედველობიდან თავისებურად ანგარიშის წაყვანისათვის, მაგრამ რა ექნათ?! რომს რომ მტკიცედ დაკავშირებოდა საქართველო, რასაკვირველია, მტვარელიშვილი დღესაც ზედამხედველად იქნებოდა და მართული სექკლესიო წიგნები თითო კაპეიკად ეღირებოდა. ამასთან დეკ. ღამბაშიძეს «მწყემსი» არ ექნებოდა და ჩვენი სასწავლებლების ზედამხედველებზედ კრინტს ვერ ამოიღებდა!...

«ივერის» მე № 123 მარტლოსის ძეს მოჰყავს პირობა, რომელიც მოსკოვის სინოდის სტამბამ გამოუგზავნა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას და შემოუთვალა ან მიღება ამ პირობისა და ან უარის თქმა. ბი ეს პირობა:

როგორც მოსკოვის სასაჩადლო სტამბას, აგრეთვე საქართველო-იმერეთის კანტორას ჰსურს ექონიანად შემდეგი: ა) სტამბამ უნდა დაჰბეჭდოს ქართული საექკლესიო წიგნები მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუკვეთს თვით საქართველო-იმერეთის კანტორას და ამ გვარ შეკვეთის ამბავს აცნობებს პირდაპირ სტამბას, ბ) გამსწორებლად ქართულ საექკლესიო წიგნთა უნდა იყოს იმისთანა ქართველი, რომელსაც მიეღოს უმადესი განხილვა აკადემიისა და უნივერსიტეტისა, გ) ეს გვამი ნათიყრად ისე უნდა იყოს დაგზავნილი, რომელიც ამას მოითხოვს მისი განხილვა და მოლაწყოება, დ) გამსწორებელი უნდა იღებდეს დაწესებულს სტამბისაკან შრომის სავსესურს იმის მიხედვლობით, თუ რამდენი თაბახი ანუ წიგნი გაუსწორებია, ე) უნდა იყოს დაწესებული თბილისში მუდმივი კომიტეტი, რომელიც თავისის ხელის მოწევით უოველთვის ამტკიცებდეს მოსკოვის სტამბაში დასაბეჭდად გაზაგანილს წიგნებს.

ამ ორისავე პირობის დადებისათვის მოსაწონ პირობათა გარდა, მოსკოვის სტამბა წინააღმდეგ თბილისის კანტორისა ითხოვს, რათა ა) გამსწორებელს ეძლეოდეს, გარდა სამუშაო სავსესურსისა, წელიწადში 600 მ. ჰამაგინი საქართველო-იმერეთის კანტორის

თანხადამ, ხელს აღნიშნული კანტონი ამ სარეზერვუარს ატყუებს, რადგან ქართული საეკლესიო წიგნები უფროდ წილობით არ დაიბეჭდება, ბ) მოსკოვის სტამბა საკლდედუღად არ ჰსდის, რათა გამსწორებულმა მიიღოს აუცილებლად ხარისხი მღვდელობისა, ხელს საქართველო-იმერეთის კანტონი-კა იოსხვის ამის აღსრულებას აუცილებლად. ამ სამუდებოთ, ჩვენს თქმით, კანტონი ცდილობს იცილოს 600 მან. გამსწორების ჯამგირი, გ) ამოწოხსა და ქართულის ასოების-დაზვის გამართვის ფასად მოსკოვის სტამბა იღებს გადაჭრილ ფასს თავისას ნუსხით და ამას გარდა 50% მოგებას, ანუ მეტს ფასს შედარებით სლავიანურს წიგნებთან, ხელს კანტონი 25% მოგებას.

ამ პირობაზე მოკლედ შევძლო სიტყვა ეთქვა მართლოსისძეს, მაგრამ მან თავისებურად გააპრტყელა სიტყვა და მოჰყვა წილადობისა. მს პირობა პირდაპირადელია როგორც მართლოსისძის და ხელადისა, ისე სხვა მათი კამპანიის ცილის მწამებელთა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ეთომ სინოდმა კრთი იმერეთი დეკანოზის მოხსენებით უკვე გარდასწყვიტა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე მოსკოვიდ. მს პირობავე პირდაპირადელი ყველა იმ უსწინდისოდ ნათქვამ ცილის წამებათა, რომლითაც ასე თავი გამოიჩინა მართლოსისძემ...

მართლოსის ძეს ჰსურს დაამტკიცოს, რომ საეკლესიო წიგნების საბეჭდად რუსეთში სტამბები არ არის მოწყობილი დღეს-დღეობით რიგიანად. ამას ამტკიცებს ისევე ჩვენგან დაბეჭდილი სტატიებით. მართლოსის ძე ამბობს:

რადგან ქართველთა თითქმის საუგუნე ნახევარი იღვწოდა მოსკოვში ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდვისათვის, იქნება იქ შეიკრება შვიდფასი იარაღი, საჭიროა ქართულ წიგნების დამსრულებად ბეჭდვისათვის? ამ საკითხის გამოკვლევას დიდი შრომა დასდო დეკ. დ. დ—მემ, რომელმაც შეკრება ამის გამო უფროდ იცნო. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დესმე მონაწილეობა მიუღიათ ქართულ საბეჭდად იარაღის მომზადებისათვის შემდეგ ადგილებს: მოსკოვს, პეტერბურგს, ვენას, ვენეტას, მაგრამ ჩვენს დრესტის კა ამათ არავითარი გამოსადეგი იარაღი აღარ დაჩენიათ. უფროდ მსოფლიდ მატრიცები (უაღბი) №№ 16 და 22, ხელს სამეცნიერო აკადემიაში № 12, მაგრამ არასახარბიელ. ამას გარდა

უფროდ კიდევ ხსენა-და-სხვა ხელის ასოები ლეჰმანისა და გერბეის ასოთა ჩამოსახმელ ადგილებში, მაგრამ ესენიც გამოუსადეგია ჩვენის საეკლესიო წიგნების ბეჭდვისთვის, რადგან ასოები უფროდ უხმო და ქართულს ხასიათს მოკლებული (Пастыр 1889 года № 14).

მართლოსის ძეს ჩვენ ამ შემთხვევაში ვიცნობთ ცოტა ჰკუთხე გამწყრალად! მართადილას გვაბტყუნებს რუსეთის სტამბის მომხრობაში და ეხლა სულ სხვას ამტკიცებს!

მთუ კი ჩვენ ვაცნობდელით ქვეყანას, რომ რუსეთში დღეს დღეობით რიგიანი ასოები არ მოიპოვება ხუტური წიგნის საბეჭდად, მაშ როგორღა ვეწამებს ავტორი ჩვენ ამ სტამბების მომხრობას? ასე ძნელია ავი ზნის სწეულება. რამდენჯერმე თუ გაუარაკაცს ტანში, უთუოდ ტინს გაულაყებს და გონებას დაუჩლიუნებებს. არ გვეჯერა, რომ ეს სწეულება არ სჭირდეს მართლოსისძეს!...

«ივერიის» დანარჩენი ვრცელი ფელიეტონები № 124 და 125 მართლოსისძეს გაუმსია იმისთანა სწავლა-მოძღვრებით, რომელიც ყველამ იცოდა მის დაბადებამდინაც. სიტყვით ყველაფერი ითქმის და «ივერია»-შიაც შეიძლება დაბეჭდვა ამ სიტყვებისა, მაგრამ საქმით ასრულება სულ სხვა საქმე გახლავს, სულ სხვა სინდელს წარმოგვიდგენს. სამღვდლოებას ვსაყვედურება მართლოსის ძე, თუ რატომ დიდ ყუ რადლებას არ აქცევენ საეკლესიო წიგნების იაფად ბეჭდვის საქმესო: ის კი არ ესმის მართლოსის ძეს, რომ სამღვდლოება ამ უფლებას მოკლებულია და მას საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს არავინ არ ჰკითხავს. არც ესმის მართლოსისძეს და არც სხვა მრავალი და ტყუილ უბრალოდ ისერის ჰაერში სიტყვებს, მისი დარდი არ აწუხებს, აიყვანს ნიშანს თუ არა...

მხლა მკითხველმა გასინჯოს, თუ რამდენად მართალია მართლოსისძისაგან მოყვანილი საბუთები ჩვენს წინააღმდეგ. რაში გვაბტყუნებდა ჩვენ მართლოსის ძე? გვაბტყუნებს იმაში, რომ ჩვენ მოსკოვის მომხრე ვართ და დიდი იმედი გვაქვს მოსკოვის სტამბისა ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეში. მს სწყენს მართლოსის ძეს, და პირიქით ნანობს, რომ ჩვენ რომს არ მივაქციეთ ყურადღება. ნეტავი რა გაუყვითა რომმა და რომის პაპამ ქართული ენის სწავლების შესახებ ჩვენში მცხოვრებ ფრანგთა სამღვდლოებას? ბაბეღვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენში ძვირად მოიძებნება

ისეთი მღვდელი, რომელმაც უკეთესად არ იცოდეს ქართული ენა აქაურ ფრანგის მღვდლებზე. ღღეს რა დაემართა რომს და რომის პაპს, თუ მე-XVII საუკუნეში დაარსეს ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბები, როგორ ვერ შეასწავლა თავის სამღვდლოებას ეს ენა რიგიანად? მისაც არ ჯერა ჩვენი სიტყვა, შევიდეს ფრანგების ეკკლესიაში და მოისმინოს მათი მღვდლების ქართულს ენაზედ დაჯღარკულად წარმოთქმული ქადაგება.

სანამ თავისი ჩლუნგი გონებით იფიქრებდა ბ. მართლმადიდებელი კითხვებზედ წერას, მანამდის ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ესწერეთ წინედ და ამ ბოლოს დროს იმის შესახებ, რომ ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე რიგიანად დამდგარიყო. ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ თუ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნების ფასზედ ნაკლებ არ დაიბეჭდებოდა, იმ ფასად მაინც დაბეჭდილიყო, როგორ ფასადაც იბეჭდებოდნენ წინად მოსკოვში ჩვენი საეკკლესიო წიგნები.

მართლმადიდებლის ძე როგორც ვიწრო შეხედულების კაცი პოლიტიკის მხრით უყურებს საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს. მით დროს სასწავლებლის ფულების მფლანგავი უმტკიცებდა სამღვდლოებას თავის პატრიარქობას, მაგრამ სამღვდლოებამ არ შეიწყნარა მისი პატრიარქობა. «მწყემსის» გამოცემაზე ზოგიერთი ამისთანა პატრიარქობის საქციელი გამოაშკარავა და მიიღეს კიდევ ჯეროვანი სასჯელი. არ მოეწონათ ამ ბატონებს «მწყემსის» პარამთქმელობა. «მართლმადიდებელს ქართველზედ დამნაშავეც რომ იყოს იგი არაფერი უნდა სთქვას», ამბობდნენ ისინი. «რა დიდი საქმეა, რომ სასწავლებლის ფულები სამი თუ რაღაც ოთხი ათასი მ. შემოეხარჯოს?! სამღვდლოებამ ამისთვის მაინც არ უნდა განკიცხოს იგინიო, როგორც თავიანთი პატრიარქობა... მაგრამ არაფერ შეიწყნარა ამ ბატონების ქადაგება. მითი ამ ბატონთაგანი გამოიმდგარა და პატრიარქობას იჩინეს ეხლა საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეში. და რამინდრო ეხლა? თუ ჩვენი საეკკლესიო წიგნები ოსტრიის მიკროტუმ ბასარიჩების სტამბებში არ დაიბეჭდნენ, დავიღუბებით, ყოველი თავისუფლებაზედ ხელ აღებული ვიქნებითო და ვეროპა ქართველი თემის ხალხად აღარ გვიცნობსო! მახლას აკადემიის დაბლაქმე! ჩვენ კი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს სრულებით სხეანაირად ვუყუ-

რებთ. ჩვენთვის ერთია, სადაც უნდა დაიბეჭდოს ეს წიგნები, საქართველოში იქნება, მოსკოვში და თუ გინდ იპრონიაში, ოღონდ კარგად იქნეს დაბეჭდილი და იაფად. ჩვენთვის ერთია, მაკაბტუმ გასწავლის სტამბაში დაიბეჭდება წიგნები, თუ აზნაურის, მღვდლისძის მეთიმე ჩიანესძის ხელის სტამბაში, ოღონდ რიგიანად და იაფად დაიბეჭდონ იგინი... შემდეგ დროში ჩვენ მოუახრებთ მკითხველს მოკლე ისტორიას, თუ როგორ იბეჭდებოდა მოსკოვში ჩვენი საეკკლესიო წიგნები და რა ეწია ამ საქმეს ჩვენში ზოგიერთი ხარბი მეტამაყების წყალობით. ამასთან დაწვლილებით შევატყობინებთ საზოგადოებას, თუ რა პარობით გამოვაცხადეთ ჩვენ თანხმობა მოსკოვის სინოდის სტამბაში ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვისა, თუ ეს მიუცილებლად საქირო შეიქნებოდა გარემოებათა გამო.

† მამია ღაბითის ძე მარაღანიძე — გუგუნი.

ამ თვის 25, ღამის ათს საათზე ხანგრძლივის ავამყოფობის შემდეგ მიიცვალა ნიჭიერი მღვდელი თავადი მამია ღაბითის ძე ბურიელი, პარამუო ძე ღაბით ბატონიშვილისა და შვილის-შვილი უწინდელის ბურიის სამთავროს მმართველის პატრიარქისა (ნამდვილი გვარი მათი არის მარაღანიძე, ბურიელია კი დაერქვათ ბურიაში რომ მთავრობდნენ იმის გამო). მანსვენებული იყო უკველის პოეტურის ნიჭით მომადლებული, ოუმცა გარემოებას ხელი არ შეუწყვიდა მისთვის, რომ სრული ნაყოფიერება გამოეღებინებია თავის ზეგარდამო შთაგონებისთვის და არ დაუწერია მესხელი იმისა, რისიც დაწერა შეეძლო, მაგრამ რაც დაწერა, ისიც საკმაოა, რომ ქართულის მწერლობის მომავალმა ისტორიკოსმა რამდენიმე სიმპატიური გვერდი უძღვნას მას. «შეშა», «ღამიანა» და მეტადე «ზოგეტი და ჩვენება» და პოეტურ მარგალიტებით ანუხსული პოემა «წამიდ გაწდანიძე» — ყოველთვის დიდის სიამოვნებით წასაკითხი იქნება ქართველობისათვის. პურადლების მისაქცევიანის გარემოება, რომ თითქმის არცერთს ჩვენს მწერალს არა ჰყავს იმდენი მიმბაძველნი და მიმღე-

ვარნი, რამდენიც მამიას; მისი ნაწარმოებნი, რომელთა დიდი უმრავლესობა დაუბეჭდველია და დიდხანა ცვერ დაიბეჭდებიან,—ზეპირად იცის უმრავლესმა ნაწილმა წერა-კითხვის მკოდნე ქართველობისამ. იყო დრო, როცა მამიას ერთადერთს სალიტერატურო სალონს თბილისში დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა თვით უმაღლესს საზოგადოებაზედაც; მაგრამ შემდეგ დრონი იცვლნენ და სიმდიდრესა და ფუფუნებაში დაბადებული და აღზრდილი მიიცვალა შუთაისის მივიარდნილი კუთხის ღარიბს ქოხში... «მსრედ წარმავალია დიდება ამა ქეცენისა!»

ბანსენებული დასაფლავებს კვირას 28 ამ თთვისას წმ. ბიორგის ეკლესიის ეზოში დროებით და იქილამ გადატანილ უნდა იქნას მომავალ სამრეკლოს იატაკის ქვეშ, როცა ამოიყვანებენ ბალავერს ამ სამრეკლოისას.

სასაფლაოზე გამოსვენებამდე გევიმ ესენა შუთაისის საკრებულო ტაძარში. სწირა და წესი აუგო ყოველად სამღვდლო ბაბრიელმა, იმერეთის ეპისკოპოსმა თავის კრებულისთურთ. სწორედ საღამოს 6 საათი იყო, როცა ტაძრილამ გამოასვენეს განსვენებული, რომლის ცხედარს მიჰყვებოდა დიდი საზოგადოება. უკანასკნელად პატივის მცემელთა შორის დაინახვდით ყოველ წოდებისა და წლოვნების ქალსა და კაცს.

სამგლოვიარო ბალახინი შემკული იყო ჩინებული გვირგვინებით განსვენებულისა და მისი ნიქის პატივისმცემელთაგან. აი ეს გვირგვინები და მათი წარწერა:

- 1) თ. მამია გუჩიელს ქართველა ქალუბისაგან. იარ ჩვენ ვსცრემლობთ მარტონი, გლოვს ყრმა, ქაბუკი, მსცოვანი, ნუ შეგვშრინ ცრემლი თვალთაგან და გულთა მისი ხსოვანი.
- 2) თ. მამია გუჩიელს ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურობისაგან.
- 3) თ. მამია გუჩიელს სამეგრელოდან.
- 4) სასკლოვანს ზოეტს მამია გუჩიელს ქუთაისის საახნაურო სკოლისაგან.
- 5) მამია გუჩიელს სენაკის საახნაურო სასწავლებლისაგან.

6) თ. მამია გუჩიელს თბილისის საახნაურო სასწავლებლისაგან.

7) თ. მამია გუჩიელს ქართველ სტუდენტებისაგან.

8) თ. მამია გუჩიელს მისი ნიქის თავუანისმცემელთაგან.

9) თ. მამია გუჩიელს მ. კალანდარიშვილის, ი. ხელაძის და ი. კილაძისაგან:

«დადებულ ნიქის პატრონმა ვერ მოიპოვა გზა ფართო, წუთის სოფელმა დასტანჯა, ძალა უდროოთ წაართო. მაგრამ რაჯა ქნა, იმითაც მსწრაფლ მოისკეჭა სასკლო: იყო ღრმა გრძნობის პოეტო და გონიერათ უზრუნველი».

10) თ. მამია დავითის ძეს ვაჩანაძეს—გუჩიელს ილია ჭყონიასაგან.

„ველარ მოვისმინო კვლავ ჩანგსა მამიას ცეცხლის მგზნებარეს, მად ვსწუხვართ. თვარა რაც წერა ქეცელად დარჩება ჩვენს მხარეს! მთავრის შტო იყო და ლექსით მთავრობდა გრძნობას მღვდლვარეს, ჯავარი ვარდანიძეთა მასთან იმარხვის სამარეს“.

სანამ ცხედარს მიბარებდნენ უკანასკნელს სავენეს, კუბო დასდგეს წმ. ბიორგის ეკლესიაში.

აქ რამდენიმე პირმა წარმოსთქვა სიტყვა და ერთმა წაიკითხა ლექსი. სიტყვები წარმოსთქვეს: ნ. მენშიკოვმა, აფიცერმა ჩერნომორსკის პოლკისამ, რუსულად და თ. ბ. აბაშიძემ, ლექსიკი წაიკითხა ს. ხუნდაძემ. მოგვყავს შემოკლებით სიტყვა მენშიკოვისა:

ფეკლასაგან პატავცემულა, ძვირფასო და დაუვაწერო თავადო მამია!

«მინ იფიქრებდა, თუ ჩვენ ასე მალე გამოგვაკლდებოდი შენ, უკეთესი პატრიოტთაგანი და შენის საყვარელის და ძვირფასის მამულისათვის მებრძოლი! ბანა დიდი ხანია მას აქეთ, რაც გულს აყოლებდი მგლობრებთან საუბარს, და, სიკვდილის არ მომლოდინე, ზრუნავდი მომავლისათვის? მაგრამ ამ წყევულმა, მშვიერმა და უწყალო სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი... და აი, ჩვენ წინ მდებარეობს შენი ცხედარი, მომავონებელი შენგან განვლილის ცხოვრების გზისა».

დაუფიწყარო თავადო, დაგკარგეთ შენ, აღზნებული პატრიოტი, პოეტი და ღირსეული მოქალაქე. შენ იხმარე ყოველი საშუალება რომ მამუ-

ლისათვის სასარგებლო ყოფილიყავი და ძნელს და გასაჭირს დროს შენ იყავი მისი უმამაცესი დამცველ-თავანი. საკმაოა ერთი წამით გადავადლოთ თვალი შენგან განვლილს ცხოვრების გზას და დავინახავთ, რაოდენ ძლიერად და გულგაზნებით გიყვარდა შენი მამული, სულითა და გულით ერთგულობდი მისს ინტერესებს: მკერდით იცავდი მას მტერებისაგან, როცა საჭირო იყო და მოკლილ დროს იღვწოდი სალიტერატურო ასპარეზზე და შენის ნაწარმოებით კვლავ უღვიძებდი ძლიერებას ხალხის სულს, აკეთილშობილებდი ხალხის გრძნობას და წინ სწევდი მისს ზნეობრივს განვითარებას.

ძირიმის ომის დროს შენ მამაკურად იბრძოდი ბაშ—ყადიკლართან, ძურუქ-დართან, და შარსის სანგრებში. ძირიმის ომის შემდეგ აჯანყდა ღალესტანი. შენ გაექანე ამ ქვეყნისაკენ და არა ერთ გზის შემბინძარ ჩანებს, ამ უშიშარ შეომრებს ზარდამცემის შამილისას.

დაწყნარდა ღალესტანიც. მაშინ შენ იყავი 25 წლის ჭაბუკი შტაბ-როტმისტრის ჩინით. მშვიდობიანობა ჩამოვარდა. შენ გწყუროდა უფრო მაღალი, უფრო არსებითი საგანი. შენ მისწრაფოდი იდეალისკენ, რომელსაც ვერ ჰპოვებდი ბრძოლის ველზე. მს იყო მიზეზი, რომ 1864 წელს დაანებე სამსახურს თავი და სცადე ცოლმეილში მოგებოცებინა ბედნიერება. მაგრამ აქაც, დაუვიწყარო და ძვირფასო თავადო, მოტყუებული შეიქენი: ოჯახის კერამ გაგიცრუვა ოცნება, დაგინარცხა იდეალი და დაგიკარგა რწმენა ბედნიერებისა. ღარიბ გულ-მოკლული, მარტოდ-მარტო მიმძვინკა და შავ ფიქრების მორევში... მაგრამ სასოწარკვეთილებისათვის მაინც არ მიგიცია თავი. შენ აირჩიე კეთილშობილური გზა, სულითა და გულით შეუფეგი შენის საყვარელის მამულის მწერლობის სამსახურს და ვამდიდრე იგი ჩინებულის, პოეტურის ნაწარმოებით—ორიგინალურითა თარგმანით.

მინ იქნება იმისთანა, რომ ქართული ენა იცოდეს და არ წაეკითხოს თავადის მამია ბურიელის ნაწერები, რომლებსაც მან ჩაურთო თავისი ქველი, ზეადმაფრენი სული და რომლებშიაც იგი თავის საოცარის ტკბილი ჰანგის ლექსებით ამკობდა ძაგკასიის ბუნების სიტურფეს, მამულის სიყვარულს, მამაპაპათ გადმოცემას და გონებითი ცხოვრების აღორძინებას. მე მგონია არ მოაზრებება ამისთანა კაცი, თუ მას კი უყვარს ქართული მწერლობა...

ძვალ დაუტოვებლად არ გაგივლია შენი ცხოვრების გზა, თავადო მამია, შენს ნააზვარს შთამომავლობა დააუასებს და მადლობელადაც იქნება შენი.

შენ მიიცვალე, გადიქეც გვამად, და იქცევი მიწად, მაგრამ სული შენი ცოცხალია, შენი ხსოვნა არასოდეს არ აღმოიფურება და კვლავაც არა ერთი გული აძგერდება შენი ნაწერების კითხვის დროს. საუკუნოა ხსენება შენი!

სიტყვა თ. გ. აბაშიძისა:

...«ცხოვრების ნიშნად სამართლუ გქონდეს და სიეკარული მოძქეთა გალად, სამშობლო შენი მაზად გახსოვდეს თუკი გსურს გახდე აღამიანად».....

ბი ეს დიდებული მოძღვრება ეკუთვნის ამ ჩვენთვის ძვირფასს აღამიანს, ჩვენგან დაუვიწყარ მოძქეს, რომელიც დღეს ჩვენ წინ გულ-ხელ დაკრფილი მოგვთხოს ქრისტიანულ დავალებას: შენდობას და მოტყუებას. ამ მოკლე, მაგრამ მაღალ-მგონობარე შაირში არის დასახული იმისი სამარადისო მცნება, რომელსაც განსვენებული აღტაცებით და იმედნულელებით აღვიარებდა და რომელსაც არ განშორებია დღემდის, საფლავის კარებადმის; ამაში არის მისი ყოველ დღიური აღსარება. მა იყო მისი გულწრფელი ლოცვა, რომელსაც ცაურის ხმებით შელადლებდა თავის საყვარელ სამშობლოის არე-მარეს. *„თუმცა განსვენებულს, როგორც საზოგადოდ უმეტეს ნაწილის კაცობრიობისას, და განსაკუთრებით პოეტს მრავალი საჭირ-ბოროტო მოვლენა გადალობება ცხოვრების გზაზე, ყოველ გვარი სატანჯველი ცხოვრების ტალღები შესჯახებია იმის გულის ფაცარს; თუმც „მაი“ და ცრემლის მეტა მის ცხოვრებაში თითქმის არა მოუპოვებია, მაგრამ მისი მადლიანი არსება პირადის მწუხარებით არ შემკრთალა, არად შეუმჩნევა და სასოწარკვეთილებას არ მისცემია! მისი ცრემლი, მისი გოდება იყო მხოლოდ გამოძახებული საზოგადო მწუხარებისა, მისი აე-კარგიანობისა. თავის ჩანგით იგი ჰაზავდა მამულის იმედებს, რომლისადმი სასოება გულში განსვენებულს არ ამოუშლია... შეიძლება ამით არ გარდაეხადოს ყოველგვარი მოვალეობა ცხოვრებისათვის, მაგრამ მისი სამსახური და ღვაწლი მწერლობის ასპარეზზე არ არის დასავეიწებელი და ჩვენც ნიშნად მადლობისა ვუნატროთ საუკუნო მშვიდობა ჩვენს მოყვარულს, ჩვენგან დაუვიწყარ პოეტს“.*

დექსი სიღვრის ხუნდაისა:

პოეტო! ზეცამ აგავსო
ნიჭით და გრძნობით ძალზედა;
ბნელს ანათებდი, ბრწყინავდი
შენ საქართველოს ცაზედა!

მაგრამ ცხოვრებამ დაგტანჯა,
ძალს უდროოდ წაგართო;
ღიდებულ ნიჭის პატრონმა
მით ვერ იპოვე გზა ფართო...

რაც გსურდა, ყველა ვერა სთქვი,—
საწუთრომ ადარ გაცადა:
შენს გრძნობას მანე დაუგო,
მოგწამლა, გასვა სამსალა...

ხოლო რაცა სთქვი, იმითაც
მსწრაფლ მოიხვეჭე სახელი:
იყავ დრმა გრძნობის პოეტი
და გონიერად მზრანველი.—

ანგელოსებრივ ფრთებ გაშლით,
ცეცხლის მგზებარე თვალებით—
მინ გვითხრას შენებრ შაირი,
მოგვნიბლოს ციურ ძალებით?!

ჯერ კიდევ ხალხის დვიძების,
ბამოფნიზლების ქამია,—
და ვაი, რომე ადარ გვეყავს
სიტყვით მნიბლავი მამია!»

დ ვ თ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი .

(რუსულიდან).

(დასასრული *).

ხალხი ხელავს, რომ მათ სოფელში არაფრის
შქონე კაცო მდიდრდება. ხელეწ, რომ უკანასკნელი
ლარიბი ოჯახობა შეიქმნა მდიდარი. დრო იყო, რომ

*) იხ. «მწეპისი»-ს № 13.

ბაკში არაფერ ოთხფეხ პირუტყუს არ გაუტყაქანებია ჭ
ბელელში მარცვალიპურიც არ იყო და ახლა კი, ასე
უცხად გაიჩინა მან ცხენებიც, ძროხებიც და სხვა
შინაური ცხოველებიც, პურიც საყოფად აქვს, ბაე-
შეებს აღარც შიათ და აღარც ცივათ. მართი სიტყ-
ვით სახლი დაკლათით აივსო.

იწყო ხალხმა ლაპარაკი: საიღამ შოვობს ამდენ
სიმდიდრეს მაქსიმეს შვილი. რიგი ამბობდა, რომ
ლამლამით ცეცხლის გველი ბუხარში უყრის პოტაპს
ოქროს და ვერცხლსო, რიგი, ვინ იცის, კიდევ რას
და ზოგი კიდევ მიხვდა, რომ ეს უთუოდ ჩვენი მაქ-
სიმეს მანქანებააო. მამა პეტრეც ხედავდა ამას და
საშინლად კვირობდა.

ეს უსათუოდ მაქსიმეს წყალობაა, ფიქრობდა
ისიც, თვითონ პოტაპი არაფერი მუშა არ არის და
მაქსიმე კი საიღან უნდა შოვობდეს ფულებს! ნუ
თუ ის ყოველთვის სისწორით მოქმედებდა.

მამა პეტრემ მოიხმო ერთხელ მაქსიმე, როცა
ის შინ მობრუნდა და გამოაჰკითხა. ასე და ასე ლა-
პარაკობს შენზედ ხალხი და, თუ ეს მართალია, ძრიელ
ცუდია!!! ძრიელ საძნელო იყო მაქსიმესთვის მოხუ-
ცებულობის დროს ამისთანა სირცხვილის ატანა. მან
ეს ცოდვეც იკისრა და მოჰყვა ათასნაირ ფიცს, რომ
მე ამ საქმეში წმიდა ვარო და ხალხი მხოლოდ სი-
ხარბით ავრცელებს ჩემზე ასეთ ხმებსო. რა უნდა
ექნა მამა პეტრეს, მაქსიმე პატიოსან კაცად იყო
ცნობილი და დაუჯერებლობა თითქმის შეუძლებე-
ლიც იყო, მაგრამ მეორეს მხრით არც ხალხის ლა-
პარაკი იყო უსაფუძვლო. მღვდელმა იფიქრა, იფიქ-
რა და გადაწყვიტა, რომ ეს საქმე მაქსიმეს სინაღისს
და ღვთის სამართალს მიანდოს.

და მართლაც ღმერთმა არ დასტოვა მაქსიმე
გაუსამართლებელი: მაქსიმეს ტყუილი ფიცის შემდეგ
სულ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ის საშინელი
ავად-მწოფი შეიქმნა. შვილი და რძალი დასტრიალე-
ბდენ ავად-მყოფს თავზედ, ექიმიც მოიწვიეს, წამ-
ლებისთვის ფულს არ ზოგადენ, მაგრამ მაქსიმეს
მაინც ვერაფერი უშველეს.

— „უსათუოდ სიკვდილი მომეღის, ეუბნებოდა
მაქსიმე შვილს“. «ნუ გეშინიან, მამავ», ანუ გეშებდა
შვილი მაქსიმეს, მაგრამ თვითონაც კი არა ჰქონდა
მამის მორჩენის იმედი. «ძრა, მე ამ ქვეყანას აღარ
ვეკუთვნი, ამბობდა მაქსიმე, რადგან კარგად გრძნობ-
და სიკვდილის მოახლოებას, დროა მოიხმო მღვდე-

ლი და მივიღო წმ. საიდუმლო ზიარება. წადი მღვდელთან». «წასელა ადვილია, დაეთანხმა შეილი, როგორც უნდა იყოს ქრისტიანული წესი უნდა აღვასრულო. მაქსიმე მძიმედ ამოიოხრა. მას მოაგონდა, თუ როგორ უნდა უთხრას მღვდელს აღსარების დროს ის, რაც სტანჯავდა მის სინდისს, ის ხომ ამას წინედ ეფიცებოდა მღვდელს და უარს ყოფდა თავის დანაშაულობას. როგორღა უნდა შეგედოს მან მღვდელს თვალებში? ძურღი, ფიცის გამტეხი! სანამდის მიანწია მაქსიმემ, რომელიც პატიოსან და სანდო კაცად ითვლებოდა. რომელსაც მთელი სოფელი ემდობოდა. მსთქვათ, მას ქურდობა არა სურდა. ღმერთი ხედავდა, რომ მაქსიმე ყოველ დღეს თავის ვალზედ ჰფიქრობდა. და სკდილობდა მალე გაესტუმრებინა მის შეილს. ღმერთმა იცოდა, რომ მას თავისთვის არ მიჰქონდა ფულები. რადგანაც მისთვის საჭირო არაფერი იყო. მაქსიმეს გული სტკიოდა თავის შეილებზედ და თავის პატარა შეილებზედ, ეცოდებოდა ისინი და უნდოდა მათი შეველა, მაგრამ, როგორ უნდა გავმხილა ეს ხალხსათვის! ან ვინ დაუჯერებდა მასს ამებს? ამასთან ის ტყუილად ფიცულობდა... ბანა არ ეტყოდა მღვდელი: თუ შენ მართალი იყავი, რატომ მაშინვე დაუმაღაფად არ მითხარი, თუ საეკლესიო ფულების გალალება არ გინდოდა?!...

შოველივე ეს მოიფიქრა მაქსიმემ და წარმოიდგინა მთელი თავის ცუდი საქციელი და სირცხვილი გამხელისა. ამავე დროს მის გულში გაიფლავა კაცობრიულმა სიამპარტანემ.

— «მერა, ამაებს ვერ ვეტყვი აღსარების დროს მამა პეტრეს. ამას საიდუმლოდ მოვიჩინებ ჩემთვის და შევეფერები ღმერთს ამის პატივებას, ეს ხომ სულ ერთი იქმნება. ღმერთი ყველაფერს ხედავს... ის მაპატიებს... მაქსიმემ მოიხმო შეილი და გამოუცხადა: «მე, შეილო, უკვე გადასწყვიტე, რომ აღსარებაში არაფერი არა ვსთქვა ის, რაც მე და შენ ვიცით. მრცხვენინა; მაგრამ იცოდე, რომ შენ უსათუოდ უნდა გაისტუმრო ის ფულები, რაც ყულაბიღამ წამოვიღეთ, უმიხოდ მე ღმერთი არას შემინდობს და დამსჯის».

— «ძრიელ კარგი, მამავ, უთხრა პოტაპმა, გავისტუმრებ, არ დავივიწყებ». მიიწკიეს მღვდელი, სთქვა მაქსიმემ აღსარება. მზიარა წმ. საიდუმლოთი, მღვდელმაც დალოცა და გასწია.

რამოდენიმე დღე გავიდა და პოტაპი ბურჩენკო ხელახლად მიადგა მღვდელს.

— რას იტყვი? მოკვდა განა მაქსიმე? ჰკითხა მღვდელმა პოტაპს.

— «ბრა, მამაო, არ მომკვდარა, უპასუხა პოტაპმა. შოველს წამს ეფიქრობთ და ევლით მის სიკვდილს, მაგრამ არ კვდება. რამდენჯერ ხელებიც დაუკრიფეთ, სამთლებიც აუნთეთ... წვალობს, წვალობს და კი არ კვდება. ხრიალებს, ხან სულ ცივდება, თვალები დაეკარგვის. აი, ეს არის სულს ჩააბარებს... მაგრამ არა, იწვალებს, იწვალებს, შემდეგ მოიხედავს და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ წამოუთვის და არა აქვს დასასრული მის ტანჯვა-წვალებას... თვითონაც ძრიელ იტანჯება და ჩვენც მისი შემაცკერალნი... მუზევართ დღე და ღამ და ვუკვერით მის დაუსრულებელს ტანჯვას. «რამდენჯერ ღმერთსაც ვსთხოვეთ, მიეღო მისი სული, მაგრამ არა, არ ღებულობს... ისიც ეხეწება... ახლა თქვენთან ცამომგზავნა, რომ თქვენ, მამაო, წაუკითხოთ სულთაბრძოლის ლოცვა და ევება ღმერთმა განათავისუფლოს ამ საშინელი ტანჯვისაგან».

მამა პეტრემ აიღო კუროხევიანი და გასწია მაქსიმესთან. იმ დროს მივიდა, როცა მაქსიმე საშინლად იტანჯებოდა. მღვდელმა დაუყონებლივ გადააფარა მაქსიმეს ოლარი და წაუკითხა ლოცვა. მაქსიმეს ამის შემდეგ ცოტა შეღაფათა მიეცა, მოვიდა იგი გონზედ და ეუბნება მღვდელს: ვიცი, მამაო, რისთვისაც მიწყრება ღმერთი და არა სურს ჩემი სულის მიბარება. დიდი ცოდვილი ვარ მე, ქურდი ვარ, მამაო, და ფიცის გამტეხი; ვტყუოდი თქვენ წინაშე, როდესაც თქვენ შეკითხებოდით მე... შელარ გავამხილე... სირცხვილისა მეშინოდა... მაგრამ ესლა ვხედავ, რომ სულ ყველაფერში უნდა გამოგიტყუდე... დაუსრულებელია ჩემი ტანჯვა. სწორედ მართალია ის, რასაც ჩემზედ ხალხი ამბობდა... მე სწორედ ვიღებდი ფულს ყულაბიღამ... აი, ეს ჩვენი წისქვილი ამ ფულით არის შეძენალი. ჰე თქვენ, მამაო, გაჰყიდეთ და ფულები საეკლესიოდ შერაცხეთ. მესმის, შეილო, რასაც ვამბობ?... დაბრკოლება აღარ იყოს შენიღამ. რამოდენიმე კაცს მოწმად დაუძახა, ყველამ გაიკოს, რომ მე დიდი ცოდვილი ვარ... მანდა მოვიჩინაო...»

მს სიტყვები, რომ პოტაპმა გაიგონა, მისთანა თქვენს მტერს, ის შეწუხდა. მივარდა და შევეფერა მამას: «მამავ... მშობელო... რას გვიშერები. ბელუ-

პაე?! არ გეპრალეებით?... შამშილოთ გინდა დაგეხ-
კრა?!.. სამწუხაროდ ის არ გვეყავა, რომ შენი
მხრუნველობა გეკლდება?!.. რანაირად მოვათმინოთ
შიმშილი!»...

რძალმაც დაიწყო წმუტუნ და ტირილი, ანთ
დამნახემა პატარაებმაც ვაბებს ტირილი.

მაქსიმეს შეებრაღა ისინი, უნდაღა სულ ყვე-
ლაფერში გამოტყდომოდა მღვდელს, მაგრამ შეჩერ-
და. იქნებ იმისთვისაც შემიბრალოს ლმერთმა, ფიქ-
რობდა იგი. ღარჩეს ცოტა რამ შეიღსაც გასამიღ-
რებლად. ის ხომ გაისტუპრებს.

ამასობაში მღვდელმა მოიყვანა მოწმები და
დასწერა მაქსიმეს ანდრძი და საწუჯემოდ უთხრა:

— «მაქსიმე, შენ სწორედ კეთილი კაცი ყო-
ფილხარ, რადგან ლმერთს არ ნდომია შენი დაღუბვა,
და ამიტომ მოუცია მას, ყოვლად სახიერს, შენთვის
ღრო მონანებისა, რათა მის წინ გამართლებული
წარსდგე».

მახვილივით მოხედენ მაქსიმეს გულს ეს სიტ-
ყები. არც ახლა იყო ის დარწმუნებული თავის სი-
წმიდემში. მძიმედ და მწუხარედ ამოიოხრა მან. ღა-
ხუჭა თვალები, რომ კაცის სახე არ დაენახა და და-
ნარჩენიც ეთქვა; მაგრამ მაინც ძლიერია მშობლოურ
სიყვარული. ამ გაჭარვების წამშიაც შეიცოდა მან
შეილი.

მღვდელს ეკონა, რომ მაქსიმეს დაეძანაო, და
ამიტომ ფრთხილად გავიდა მოწმებიანათ, დაჩნა
მხოლოდ პოტაპი სარცეკლოთან. მაქსიმემ გაახილა
თვალები და უთხრა შეროს: «კიდევ დიდი ცოდვა
აეიკიდ მე დღეს სულ შენი გულისთვის, შეილო,
მე მწაღდა დღეს ყოველიფერი ცოდვა შემენანა
მღვდლის წინაშე, მაგრამ შენ შეჩაჩერე, იცოდე,
რომ ჩემი ცოდვა არის შენიც და მენს ხელშია ჩემი
სულის დაღუბვა და ცხოვნება, როგორც კი ცოტად
მომჯობინდე, მაშინვე მიიტანე ფულები ეკლესიაში.
მე არა ვფიქრობ, რომ შენ სიკეთისთვის ჩემი და-
ღუბვა მოინდომო... ხომ მისცემ?»...

— «მთქვამს, მივეცემ მეთქი და კიდევ ვამბობ,
რომ მივეცემ, ამაზედ საოულიად დაიქედებულა იყავი»,
უპასუხა პოტაპმა.

ამას კი ეუბნება პოტაპი, მაგრამ გულში კი
ფიქრობს: «ეი თუ კიდევ განიზრახხოს მამამ დანარ-
ჩენის თქმაცა? ნეტამც მალე მოკვდებოდე! — ძალიან
ენანებოდა მას თავის სიმდიდრის შეღვევა.

მაქსიმემ მაინც არ მოკვდა. ორი დღე და ღამე
გავიდა ლოცვის წაკითხვის შემდეგ, მაგრამ მისი
ტანჯვა მაინც არ შემწყვდარა. ხანდისხან მაქსიმემ მო-
ვიდოდა ხოლმე გონზედ. თითქო ლმერთი განძრახ
აძლევდა მას მონანების ღროს. ტანჯვა მას ხეობ-
ლად წამოუფლიდა ხოლმე.

«არა, არ შემიძლია მე აძღენის მოთქენა. აპ-
ბობს მაქსიმე და თან საშინელი ტანჯვით გორავს

ლოგინში. სჩანს, რომ, ლმერთი არ მიიღებს ჩემს
სულს, ვინემ არ გავსწმენდ ცოდვისაგან. წადი, შეი-
ლო, მღვდელთან».

— «ძარგი, წავალ, უთხრა პოტაპმა და კი არ
ჩქარობს, რომ შეასრულოს მამის ბრძანება. იქნებ
უიპისოდაც გარდაიცვალოს», ფიქრობს პოტაპი. და
ამასობაში მაქსიმეს საშინლად აეშალა სატკივარი,
ღრო გაღის და საწყალს კი არა ეშველა რა.

ისე მოხდა, რომ მღვდელი თავის-თავად მოვიდა
მაქსიმეს აშბის შესატყობლად.

— «დიდი მადლობელი ვარ, რომ მოხვედით,
უთხრა მაქსიმემ მღვდელს დიდის გაჭირვებით, მე
ღაღა ხანია, თქვენთან შეილი გამოვგზავნე, ვიყუ-
რებოდი და არ მოხვედით, სწორედ ვებრალები მე
ლმერთს და არა სურს მიიღოს შეუწანებელი, ცოდ-
ვილი ჩემი სული; ისმინეთ, ახლა გეტყვი მე ჩემს
ნამდვილს და სრულს აღსარებას:

— „მაშინ მე სულ ყველაფერი ველარ მოგახსე-
ნეთ, შეილი შევიბრაღე, მაგრამ მე მას არ ვებრა-
ლები; ვენევეწი, ვებევეწი და თქვენთანაც ვერ გამო-
ვიგზავნე... მშიაინ თავის, არა კეთილად შეძენილი
საცხოვრებლის დაკარგვისა... მე ახლა თვითონ ეხე-
დავ, რომ დიდად შემცდარი ვარ ამაში... თუ ის
ამისთანა არის, რასაკვირველია, არას ღროს არ
გარდაიხდის ეკლესიის ვალს... შეკეთესი იქნება მევე
გარდაიხდაღო ეს ვალი... ღაუქახეთ კიდევ მოწმებს...
ახლა მე ყველაფერს განვაცხადებ... სკები ნაყიღია
საეკლესიო ფულით, ამ ჩემი სახლის ადგილიც, ამ
პირდაპირ ადგიღია, ისიც. მსენი არც ერთი არ არის
ჩენი, საეკლესიოა».

სთქვა თუ არა ესე მაქსიმემ, ხელობლად დაიწ-
ყო საშინელი ხრიაღი. საშიშრად დააწყებინა თვა-
ლებს ტრიაღი. თითქო ხედავს თავის წინ ბნელს,
მუქარა მოჩენებასო. საწყალს კივმა ოფლმაც და-
ახანა შეუბლხედ. პირიღამ ქაფი წაშოუვიდა. მამა პე-
ტრემ დაიწყო ლოცვა და სახავდა ჯვარს. მომაკვდავი
ერთს წამს კიდევ მოვიდა გონზედ.

— „მამაო, კიდევ სულ არ გამითავებია ჩემი
აღსარება, სთქვა მან, წაღები დამაიწყდენ... ახლე-
ბია... არ, კუთხეში რომ ჰყიღია... წაღეთ... მსეც
საეკლესიოა... ახლა კი ყველაფერს მოვრჩი... ლმერ-
თი დამშვიდებს ჩემს სულს».....

სთქვა თუ არა ეს, ამოიოხრა და ჩააბარა ლმერთს
სული. წუნარმა და მშვიდმა ღიმიღმა უცებ გაიფლვა
მის გამხმარ და მკედარ სახეზედ და იმ ღიმიღში
ყველა ხეღვიდა, რომ მაქსიმემ სწორედ შიღო გან-
სვენება ცათა შინა და ხსნა ცოდვებისაგან.

ტ—ფან ღ—მე.



ახალი ამბები და შენიშვნები.

ამერიკიადამ ეპისკოპოსი ვლადიმერი ატნობებს უწმიდესს სინოდს, რომ იქ ამ ცრუტა ხანში მიიღებს მართლ-მადიდებელ საწმენოებს 20,000 სული კათოლიკე აღსარებისა. ამის გამო სინოდში ამ მოკლე ხანში მოხდება საჩქარო კრება სინოდის წევრთა.

* * *

29 ამა ივლისს, დამით ღუგუნი ავაზაკები სოფელს ქვიტირშია წ. ასათიანს. სახლის უფროსი ასათიანი მოჭკლეს და სახლი გაცარტყეს და წავიდნენ. ამავე დამის ავაზაკები ქვიტირშივე ერთ მუდუქნეს მიუსდენ, გაცარტყეს, დასტყეს, მერე იჭეიფეს იჭე და აწხეინად გაემზავრნენ.

* * *

ამბობენ, რომ ამერიკიდან საზოგადოებისაგან გაცემულნი პირნი არ იქმნებიან ტიბარში გაგზავნილნი, არამედ იმათ თავისავე გუბერნიასში საზოგადო სამუშაოებს ეწევიან და აწევიან სამუშაოდ.

* * *

მამა დეკ. ი. ნაუმოვინი ამა თთვის 28 ჩამოვიდა ქუთაისში. მერე დღეს დათვალაიერა ქუთაისის ერთად დეკ. დ. დამაშიძესთან, ნახა გელათის მონასტერი და 30 ბათუმისკენ გაემგზავრა, ბათუმიდამ კიევში მიემგზავრა. მ. ნაუმოვინი აფხაზეთში კარგა ხანობით დაჩენილა ამას წინად და თითქმის ყველა ადგილები დაუოვალაიერება. იგი ძლიერ სწუხს, რომ აფხაზეთის მშენიერი ადგილები ასე გავერნებულად არის გაშვებული.

* * *

«Новое Обозрѣніе» უკვე გაიყიდა და დღეს იმას იმართავს ახალი რედაქცია. გაზეთს თურქეთის გადაილია სანელი ახალ ბინაზე აღარ გადაუვანია, დაუთხარნია და შინისკენ გაუსტუმრებია სანში. სანელს «სასულიერო მამობის» თანამშრომლობა უთხარნია, მაგრამ, როგორც ამბობენ, აქაც უფრო უყვიათ. ამბობენ, რომ თუ სანელმა როგორმე ვერ მოასერს სანის ერთ-ერთ ეკლესიაში დატლილს ადგილზედ შესვლა, — უსათუოდ შოლიციის ნაწილში აპირებს სამსახურსა.

* * *

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტარის მიწერილობაზე «სასულიერო მამობის» ყველა ეკლესიებისაგან გამოწერის შესახებ თითქმის ყველა ბლადონინებს მოუხსენებიათ მიზეზი ზოგიერთი დარბი ეკლესიებისაგან ამ გაზეთის გამოწერლობისა. ყველა ეკლესიებს არ აქვს საშუალება, რომ თავის მიუცილებელი ხარჯი დაეროს და ამიტომ არ შეიძლება ყველა ეკლესიაში გამოწეროსა უურსალი, — ამბობენ ბლადონინები. სინოდის კანტარა, როგორც გავიგეთ, ახალ მიწერილობას ამხადებს ბლადონინებზედ, დარბი ეკლესიები ამ გადასახადისაგან გაანთავისუფლან. ჩვეინს აზრით, ეს განკარგულება საჭირო არ იყო, რადგან სინოდის უქაში ამ გაზეთის გამოწერის შესახებ ცხადად იყო ნათქვამი, რომ დარბი ეკლესიებს მუქთად გაეგზავნებათ. ამას ამტკიცებდა მალაფოვლად სარდლევლას ექსარხოსის პლლადის მოხსენება და აზრი.

* * *

თეკლათის ღვლათა მონასტრის წინამძღვრის ბთანასიასგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭლად:

«მამო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძო, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა მუთაისში მცხოვრებს ნადეჟდა წერეთლის ასულს ზუბოვისას, რომელმანც ჩემდამო რწმუნებულს მონასტრს შესწირა კანკელი, ღირებული 100 მანეთად და მონტოფას მცხოვრებს აზ. ბლახუა ქვანიას მეუღლას პუზი შავდიას ასულს, რომელმანც შემოსწირა ამავე მონასტრს 60 მანეთი ფული.

შენდომის გასწორება.

«მწყემსი»-ს მე 13 №-ში, მეცხრე გვერდზედ დაბეჭდილია: «უმიკაშვილი», უნდა იყოს: «მტვარელიშვილი».

შინაარსი: რფიციალური ნაწილი: საქართველო-იმერეთის სინოდის კანტარის განკარგულება. — არა რფიციალური ნაწილი: დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელობის წოდებისა. — ზასუხა ქართლისისქს. — † მამია დავითის ძე ვარდანძი — გუგრაილი. — ღვთის სამართალი. — ახალი ამბები და შენიშვნები.

მ წ უ ე მ ს ი

მ. შ. ი. ც. ი. ა. ლ. შ. რ. ი. ნ. ა. წ. ი. ლ. ი.

საქართველო - იმერეთის სინოდის კანტორის
განცხადება.

საქართველო - იმერეთის სსსინოდო კანტორის
დადგენილება 17 მაისი 1891 წლისა, მეტ-
რაქულ მოწმობათა და სხვა საბუთების მიცემის შესახებ.

საქართველო-იმერეთის სსსინოდო კანტორისაგან მთხოვნელთ ეძლევათ მეტრიკული მოწმობები და სხვა საბუთები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ეგზავნებათ მთხოვნელთ მანქრის უფროსების შემწეობით, რომელნიც თავის მხრით აღნიშნულს საბუთებს უგზავნიან ხოლმე სოფლის მამასახლისებს გარდასაცემად კუთვნილებსამებრ. ეს მამასახლისები, როგორც სსსინოდო კანტორამ შეიტყო, თითოეული გარდასაცემ საბუთზე ართმევენ მთხოვნელთ 1 მანეთიდან 3 მანეთამდე, და უცხადებენ მათ, რომ ეს ფულები იხარჯება სსსარგებლოდ ფოსტისა და სსსინოდო კანტორისა, სინოდის კანტორა კი ამისთანა მთხოვნილებას არ აცხადებს იმ მიწერილობაში, რომელთაც უგზავნიან მანქრის უფროსებს საბუთებთან ერთად მთხოვნელთადმი გადასაცემად, არამედ სთხოვს მათ, რომ მთხოვნელთ ხელწერილი ჩამოართვან საბუთების მიღების შესახებ და ეს ხელწერილი გამოგზავნონ კანტორაში. 2) სსსინოდო კანტორას შეტყობილი აქვს, რომ ქუთაისის სააზნაურო დეპუტატთა კრებას მინდობილი აქვს გაარჩიოს, სხვათა შორის, უფლება სამეგრელოს თავად-აზნაურთაჲ. ამ აზნაურებს გამოცხადებული აქვს წარადგინონ სხვა საბუთებთან ერთად, მათ აზნაურობის დირსების დასამტკიცებლად, მეტრიკული მოწმობები დაბადების და მონათვლის შესახებ იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი არიან იმ დროს, როცა შემოღებული იყო მე-

ტრიკები სამეგრელოში, და აღმოწერილობანი აღსარების სიებიდგან მათი ოჯახის შესახებ იმ წლებისა, როცა მეტრიკები არ იყო და უოველივე ეს უნდა მოხდეს ხუთი წლის განმავლობაში, ივლისიდან 1890 წლისა. სამეგრელოში ირიცხება ათი ათასამდე თავად-აზნაურნი, რომელთა ოჯახი ხშირად ითვლება ათი და ხან უმეტესი სულისაგან მამრის სქესისა, რომელთაც არა აქვს მეტრიკული მოწმობები. სსსინოდო კანტორის იმერეთის განყოფილებაში მეორე სტოლოზე, რომელსაც მინდობილი აქვს მთხოვნელთადმი მეტრიკული მოწმობების მიცემა და სხვა საბუთებისა ქუთაისის გუბერნიაში (დასავლეთი საქართველო), ასეთი საბუთები ეძლევათ არა მარტო აზნაურებს, არამედ იმავე გუბერნიის სხვა წოდების პირთაჲ. აქედგან უველსათვის ცხადია, რომ რა შრომა მოეღის სსსინოდო კანტორას, რომ დროით შესრულოს უველა მთხოვნელთა სურვილი, განსაკუთრებით სამეგრელოს თავად-აზნაურთა ასე მოკლე ვადაში, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მეტრიკებში არ არის აღნიშნული მთხოვნელთა დაბადება და მონათვლა, დღიდან მეტრიკების შემოღებისა, ანუ იმის გამო, რომ მთხოვნელნი სისწორით არ არიან ჩაწერილნი. ამისთანა გასაჭირის დროს სამეგრელოს თავად-აზნაურთა დასახმარებლად, როგორც სსსინოდო კანტორამ შეიტყო, გამოჩნდენ ვიდეცა ვეკილები, რომელნიც ჰკრებენ ფულებს იმ პირთაგან, რომელთაც ჰსურსთ მიიღონ სსსინოდო კანტორისაგან საჭირო საბუთები მათ შთამომავლობის შესახებ და მასთან ჰპირდებიან, რომ ძალიან მოკლე დროში უმოვიან მათ აღნიშნულს საბუთებს, წარსადგენად აზნაურთა დეპუტატების კრებაში. ეს მტკიცდება საქმიანთაჲ. სინოდის კანტორაში მოდიან პირნი, რომელთაც აქვსთ რამდენიმე ვეკილობა სხვა და სხვა პირთაგან,

ზოგჯერ ერთი საზოგადო ვეკილობა ერთი გვარეულობის პირთაგან, მათ შემოაქვთ რამოდენიმე თხოვნა და ითხოვენ, რომ მალე მიეცეს მათ საბუთები და არ უნდათ მიიღონ სახეში, რომ ასეთი თხოვნების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს რიგით.

სასინოდო კანტორამ საჭიროდ სცნო დაბეჭდოს ამის შესახებ „საქართველოს საეკლესიო-სახლის ეპარქიალურ უწყებ“-ში, საცნობილოდ ადგილობრივ მთავრობათა და ზომის სახმარებლად რათა მოსპობილ იქმნეს ადწერილნი ბოროტ-მოქმედებანი.

სინოდის კანტორის მდიანის თანამდებობის აღმასრულებელი კაცნაგულიძე.

ი ს უ ი ლ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში — «მწვემის»-ს რედაქციის სტამბაში და შმ. შილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და ყვინაღაში — თვით გამომცემელთან.

- 1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებამდე, რომელიც უწყვიდესი სინოდისაგან მოწონებულა როგორც სასწავლო სადმართო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი 30 კ.
- 2) იგივე დარიგება სადმართო სჯულის სწავლასად რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
- 3) სამართავლო საეკლესიო ისტორია ფასი უდით 45 კ.
- 4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორთონიკონით და მართლმადიდებელი ეგვლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი 30 —
- 5) ახალი ქარაბაღინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეპიოპო რჩევისაგან. — ფასი 1 მან.
- 6) მკვლევართვის საადრეოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი — ფასი უდით 30 კ.

- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა ფასდებულა. — ფასი უდით 40 კ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართვალთ განმანათლებელი, — ფასი 25 —
- 9) გელათის მონასტარი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებლისა. — ფასი 25 —
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი. — ფასი 5 —
- 11) წმიდანი გლოვლ-მთავარი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე ოძრკოპიკი, სურათებით — ფასი 5 —
- 12) მიკჰა უშლისა, სურათით. — ფასი 2 —
- 13) დიდ-მარხვის წინ, სურათით. — ფასი 2 —
- 14) ხარება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით — ფასი 2 —
- 15) ბზობა სურათით — ფასი 2 —
- 16) აღდგობა სურათით — ფასი 2 —
- 17) კონტოელი პილატოს მეშულის წმინდი თავის მშობარ ქალთან 5 —
- 18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით — ფ. 5 —
- 19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა 2 —
- 20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი 2 —
- 21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა დიანისა მამისა ჩვენისა შიოსა სურათით — ფასი 5 —
- 22) მიძინება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით — ფასი 2 — გ.
- 23) ამაღლება პატრიონისა და ცხოვრლ-მეშულისა ჯვრისა უშლისა სურათით 2 —
- 24) ღვთის-მშობლის დაბადება — სურათით 2 —
- 25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2 —
- 26) მსთმარი სურათით. — ფასი 5 —
- 27) წმ. მოწამე რაჭმენი — სურათით ფასი 5 —
- 28) ნინო ძინა ზიკაძისა სურათით 5 —
- 29) დაწყებითი გაკვეთილანი საღმრთო სჯულის სწავლებამდე ფასი 15 —

გინდ წიგნი აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმინსა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ. გინდ 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ტაღისა, ის ფასტით გასაგზავნს არ იხდის.

„მწვემის“ რედაქცია უკვე შეუდგა მოსახსენებელი კონდაკის ბეჭდვას. ამისთანა კონდაკები ძველს დროშიდ თითქმის უკლებ ეგკლესიებში და მონასტრებში ჰქონებიათ. მაგრამ დღეს არცერთ ეგკლესიაში არ მოიპოება.